



შპს „ეკო ბოჰემია“

საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი

ტელ. ოფისი: +995 373 200 827

WhatsApp: +995 599 77 45 45

ელ. ფოსტა: info@ecobohemia.ge

ვებ. გვერდი: www.termohub.com

შპს „ეკო ბოჰემია“

პერლიტის მზა, მშრალი სამშენებლო და საიზოლაციო მასალა

თბოგამტარიანობა	0,055-0,09 W/mK
ხანძარსაწინააღმდეგო კლასი	A1
კომპრესიული ძალა	1,6 – 4,0 N/mm ²
ნაყარი სიმკვრივე	230-490 kg/m ³
კაპილარული წყლის შთანთქმის კოეფიციენტი	> 0,3 [kg/(m ² .min ^{0,5})]
წყლის ორთქლის გამტარიანობა w _{vp}	0,033.10 ⁻¹⁰ [kg/m.s.Pa]
ადჰეზია	0,2-0,5 [N/mm ²]
ფოროვნება	> 55%

პროდუქტი:

ქარხნული შერევის მშრალი მზა საიზოლაციო სალესი მასალა, ნებისმიერი ზედაპირის ავტომატური და მექანიკური დამუშავებისთვის, შიდა და გარე კედლებისთვის, ჭერის და იატაკის მოსაჭიმად; ასევე გამოიყენება სახურავის მოსაჭიმად, საჭირო გიდროიზოლაციის წესების დაცვით.

პროდუქტის უპირატესობებია:

- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი;
- მაღალი თბოიზოლაცია;
- ცეცხლგამძლეობა A1 კლასის;
- ჰაერის გამტარიანობა;
- ხმის იზოლაცია;
- მოჭიდების სიმტკიცე-გამოიყენება ნებისმიერი სახის ზედაპირზე;
- დრეკადობა - არ იბზარება;
- მავნებლებისგან დაცვა;
- მასალის სიმსუბუქე.

გამოყენებადი სისქე	დამუშავებული კედლის შესაბამისად, ფენებად, ინსტრუქციის დაცვით, სისქით 1სმ- დან 12 სმ-მდე.
ხარჯვის ნორმა	დაახ. 2.0 - 2,5 მ ² /1 სმ
სამშენებლო ხსნარის ჯგუფი	P I-დან PII-მდე, DIN V 18550 შესაბამისად
ხმის იზოლაციის კოეფიციენტი	17 dB (2 cm/500 Hz)
გარეგნული იერსახე	თეთრი და ნაცრისფერი
დამუშავება	+5 / +25° C
დამუშავების მეთოდი	მექანიკური, ავტომატური
შეფუთვის ფორმა	5-7-8- 9-10-12 -15 კგ, 25 ლიტრიანი ტომრები
შენახვის ვადა	12 თვე
შემადგენლობა	ცემენტი, პერლიტი, ქაფ-მინა (აფუებული მინა) და სხვადასხვა ეკოლოგიურად სუფთა დანამატები
ხარისხის გარანტია	თვითკონტროლი ჩვენი ლაბორატორიის მიერ, გოსტის შესაბამისად

პროდუქციის აღწერა

„თერმოჰაბის ეკონომი“ არის წყალამრიდი მზა, მშრალი ნარევი, რომელიც გამოიყენება შიდა და გარე კედლებისთვის, ჭერის და იატაკის მოსაჭიმად; ასევე გამოიყენება სახურავის მოსაჭიმად, საჭირო გიდროიზოლაციის წესების დაცვით. შეიცავს აფუებულ პერლიტს, ცემენტს, ბუნებრივ სილიკატებსა და არაორგანულ დანამატებს. უზრუნველყოფს სითბოს,

ხანძრის და ხმის იზოლაციას. მზადდება ევროპული სტანდარტების შესაბამისად. არის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი და არ შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის საშიშ დანამატებს. მზადდება დადგენილი ტექნიკური სტანდარტების დაცვით.

გამოყენების სფერო: „თერმოჰაბის ეკონომი“ გამოიყენება ნებისმიერი სახის ზედაპირზე: ბლოკის ყველა სახეობა, აგური, ბეტონი და მეტალის კონსტრუქციები, პლასტმასი, ხე, მინა და ა.შ.

მახასიათებლები: „თერმოჰაბის ეკონომი“ ხელს უშლის ხანძრის გავრცელებას, ასევე ცეცხლში გაზისა და კვამლის გამოყოფას. მტკიცეა წყლისა და სინესტის წინააღმდეგ. ხელს უშლის ობისა და სოკოს წარმოქმნას და ამავედროულად ეხმარება შენობაში ჰაერის გამტარიანობას. დადებითი ეფექტი აქვს შენობის არსებობის განმავლობაში. მარტივად გამოსაყენებელია და არ საჭიროებს სპეციალურ შრომას. ზედაპირის ლესვა შესაძლებელია როგორც მექანიკურად/ხელით, ასევე შესასხურებელი აპარატის საშუალებით.

გამოყენება:

მტკერის და მექანიკური ნაწილაკების მოშორების მიზნით რეკომენდირებულია ზედაპირის ჩამორეცხვა წყალით, სპეციალური ხსნარით ან დამუშავება გრუნტით. თავდაპირველად სუფთა ჭურჭელში უნდა ჩავასხათ 2 ლიტრი ოთახის ტემპერატურის წყალი და ეტაპობრივად დავამატოთ მშრალი ნარევი, თან ვურიოთ მიქსერით, რომლის სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 500-600 ბრ/წუთში. ნარევს დარჩენილი წყალი მცირე ოდენობებით უნდა დავამატოთ, ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. დაუშვებელია მასის გათხელება. ერთ კგ მშრალი ნარევის მოსამზადებლად საჭიროა დაახლოებით 0,6-0,8 ლიტრი წყალი.

გალესვა

კედლის ზედაპირი უნდა იყოს მაქსიმალურად გასწორებული.

კედელზე სწორად მაგრდება მიმმართველები (ე.წ. „მაიაკები“) თაბაშირის საშუალებით.

პროდუქტი მარტივად გამოსაყენებელია, არ საჭიროებს განსაკუთრებულ შრომას და უნარ-ჩვევებს.

გალესილ კედელზე ფაქტურის დატანება ან გაპრიალება შეიძლება გალესვიდან 1-5 საათის შემდეგ, ზედაპირზე დატანილი ნარევის სისქის და გარემოს ტემპერატურის გათვალისწინებით.

ნალესის სრული შრობის პერიოდი მშრალი კლიმატის პირობებში, თუ ტემპერატურა +20°C-ზე მაღალია, შეადგენს 3-10 დღეს (ნალესის სისქე 3-12სმ);

ნალესის სრული შრობის პერიოდი ნესტიანი კლიმატის პირობებში, თუ ტემპერატურა +5°C დან +20°C-მდეა, შეადგენს 7-20 დღეს (ნალესის სისქე 3-12სმ).

კედლის შეღებვა ან სხვა სამალიარო სამუშაოების ჩატარება (შპალიერის გაკვრა, გაზუმფარება, შეღებვა და ა.შ.) შესაძლებელია ნალესის მხოლოდ სრული გამრობის შემდეგ.

გამოყენების პირობები

გამოყენების იდეალური ტემპერატურა არის +5 და +25°C-მდე, თუმცა სამუშაოების ჩატარება ასევე შესაძლებელია +35°C ტემპერატურაზეც, პროცესის მეთვალყურეობით, რაც გულისხმობს შრომის მიმდინარეობაზე დაკვირვებას.

შენახვის ვადა:

მშრალ პირობებში შენახვის ვადაა 1 წელი.

აპარატული გამოყენება:

აპარატით ლესვისას გამოიყენება შესაბამისი აღჭურვილობა. შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა დიამეტრისა და სიგრძის შლანგი. ამასთან, გასათვალისწინებელია დანადგარის/სალესი აპარატის შესაბამისობა მწარმოებლის რეკომენდაციებთან.

უსაფრთხოების ზომები:

უსაფრთხოებისა და საშიშროების ზომები იხილეთ უსაფრთხოების საინფორმაციო ბარათში.

ზოგადი მითითებები:

მონაცემები შედგენილია გულდასმით და ჯეროვნად, თუმცა, მომხმარებელს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან, პროდუქტის გამოყენებამდე თავად შეამოწმოს მისი თანხვედრა საკუთარ მიზნებთან.

ჩვენი პროდუქტები, როგორც თითოეული გამოყენებული ნედლეული, ექვემდებარება უწყვეტ მეთვალყურეობას, რაც უზრუნველყოფს ხარისხის მუდმივ კონტროლს.

შპს „ეკო ბოჰემია“

ტელ. ოფისი: +995 373 200 827

მობ: +995 599 77 45 45

ელ. ფოსტა: info@ecobohemia.ge

ვებ. გვერდი: www.termohub.com

პასპორტს თან ერთვის:

1. ხარისხის მართვის სისტემა ISO 9001:2015
2. გარემოს მართვის სისტემა ISO 14001:2015
3. პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემა 45001:2018

უსაფრთხოების საინფორმაციო ბარათი

შედგენის თარიღი: 15.01 2024

პროდუქტი: „თერმოჰაბი ეკონომი“ პერლიტის მშრალი, მზა, სამშენებლო და საიზოლაციო მასალა.

ტექსტის მთლიანი მოცულობა: 10 გვ.

1 თავი: ნივთიერების ნარევის და საწარმოს აღწერა

1.1. პროდუქტის იდენტიფიკატორი

პროდუქტის სახე: ნარევი

სავაჭრო სახელწოდება: „თერმოჰაბი ეკონომი“ პერლიტის მშრალი, მზა, სამშენებლო და საიზოლაციო მასალა

1.2. ნარევის გამოყენება: პერლიტის მშრალი მასალა წყალში გასაზავებლად

2. შპს „ეკო ბოჰემია“

საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი

ტელ. ოფისი: +995 373 200 827

ელ.ფოსტა: info@ecobohemia.ge

ვებ. გვერდი: www.termohub.com

2 თავი: საფრთხის იდენტიფიკაცია

2.1. მარკირების ელემენტები

უსაფრთხოების მითითებები (CLP):

P280 - დამცავი ხელთათმანის/დამცავი სამოსის/თვალეების დამცავის/სახის დამცავის ტარება

P302+P352-დამცავი ხელთათმანის/დამცავი სამოსის/თვალეების დამცავის/სახის დამცავის ტარება

P305+P351+P338-თვალში მოხვედრისას: რამდენიმე წუთის განმავლობაში ამოირეცხეთ წყლით. თუ ატარებთ კონტაქტურ ლინზებს, საჭიროა მათი მოხსნა და თვალეების ამორეცხვა წყლით რამდენიმე წუთის განმავლობაში.

P332+P313- აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისთვის მიმართეთ ექიმს/მოითხოვეთ სამედიცინო ჩარევა.

2.2. სხვა სახის დაზიანებები

მონაცემები არ არის.

3 თავი: შეჯამება/მონაცემები შემადგენელი ნაწილების შესახებ

3.1 ნივთიერებები არ გვხვდება, ვინაიდან საქმე ეხება ნაზავ პროდუქტს (იხ. 3.2. პუნქტი)

3.2. ნაზავი

დასახელება	საქონელის/ნაზავის აღწერა	დეფინიცია ნორმის მიხედვით
ქაფმინა (აფუებული მინა)	(CAS Nr) 65997-17-3	არ არის კლასიფიკაცია
პერლიტი	(CAS Nr) 130885-09-5 (EU Nr) 603-442-8	არ არის კლასიფიკაცია
პორტლანდის (თეთრი ან რუხი ფერის) ცემენტი	(CAS Nr) 65997-15-1 (EC Nr) 266-043-4	H315 თვალის დაზიანება
კირქვის ფილერი	(CAS Nr) 1317-65-3	არ არის კლასიფიკაცია
სხვადასხვა ეკოლოგიურად სუფთა დანამატები		არ არის კლასიფიკაცია

4 თავი: პირველადი დახმარების ღონისძიებები:

4.1. პირველადი დახმარების ღონისძიებების აღწერა:

პირველადი დახმარების ღონისძიებები მტკერის ჩასუნთქვისას: გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე და ასუნთქეთ.

პირველადი დახმარება კანზე მოხვედრისას: კანი ჩამოხანეთ წყლით. დასვრილი სამოსი გახადეთ. კანის გაღიზიანებისას მიმართეთ ექიმს.

პირველადი დახმარება თვალში მოხვედრისას: რამოდენიმე წუთის მანძილზე ფრთხილად ჩამოხანეთ წყლით, საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.

პირველადი დახმარების ღონისძიებები ჩაყლაპვისას: მიმართეთ ექიმს.

5 თავი: ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები:

5.1. ცეცხლმაქრი საშუალებები:

ნაზავი არ არის აალებადი არც მიწოდებისას და არც შერეულ მდგომარეობაში. ამრიგად, ცეცხლმაქრი საშუალებები და ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა განისაზღვროს გარემო პირობების შესაბამისად.

5.2. ნივთიერების ან ნაზავის განსაკუთრებული საფრთხე:

არ არის. - პროდუქტი არც აფეთქებადია და არც აალებადი და ასევე არ იწვევს სხვა მასალებთან მიმართებაში ხანძარს.

5.3. ხანძარსაწინააღმდეგო მითითებები:

სპეციალური ღონისძიებები ხანძრის აღმოფხვრაზე არ არის საჭირო. ცეცხლმაქრი წყალი არ ჩაუშვან კანალიზაციაში. ცეცხლის კერასთან ახლოს განთავსებული დახურული ავზები გააგრილეთ წყლით.

დაუყოვნებელი ღონისძიებები ცეცხლის დროს: შეეცადეთ არ იმოქმედოთ დამცავი აღჭურვილობის გარეშე. გამოიყენეთ ჟანგბადიანი სასუნთქი ხელსაწყო.

6 თავი: გაუთვალისწინებელი მობილიზაციისას განსახორციელებელი ღონისძიებები:

6.1. პიროვნების უსაფრთხოების ღონისძიებები, დამცავი აღჭურვილობა და გადაუდებელ შემთხვევებში გამოსაყენებელი მეთოდები.

6.1.1. პერსონალისთვის:

გადაუდებელი შემთხვევების გეგმა: თავიდან აირიდეთ მტვერის წარმოქმნა. არ ჩაისუნთქოთ მტვერი. მოერიდეთ კანზე და თვალში მოხვედრას.

6.1.2. მომხმარებელთათვის:

დამცავი აღჭურვილობა: არ ეცადოთ შესაბამისი დამცავი აღჭურვილობის გარეშე მოქმედება. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-8-ე თავში: „უსაფრთხოების/პირადი დამცავი აღჭურვილობის განსაზღვრა და კონტროლი“.

6.2. გარემოს დაცვითი ღონისძიებები:

მოერიდეთ გარემოში გამოყენებას.

7 თავი: მართვა და შენახვა

7.1. უსაფრთხოების ზომები უსაფრთხო გამოყენებისათვის:

მოახდინეთ სამუშაო ადგილის კარგი ვენტილაცია. მოერიდეთ კანზე და თვალში მოხვედრას, გამოიყენეთ პირადი დამცავი აღჭურვილობა.

ჰიგიენური ღონისძიებები: ხელახალ გამოყენებამდე გარეცხეთ დაბინძურებული სამოსი. აღნიშნული პროდუქტის დამუშავებისას არ მიირთვათ, დალიოთ ან მოწიოთ. სამუშაოს დასრულების შემდგომ დაიბანეთ კანი.

7.2. უსაფრთხო შენახვის პირობები:

შეინახეთ კარგად განიავეზად, გრილ ადგილას.

8 თავი: უსაფრთხოების განსაზღვრა და კონტროლი/პირადი დამცავი მოწყობილობა

8.1. მოახდინეთ სამუშაო სივრცის კარგი ვენტილაცია.

8.2. პირადი დამცავი მოწყობილობა:

ხელების დაცვა: დამცავი ხელთათმანი.

თვალის დაცვა: დამცავი სათვალე.

კანისა და სხეულის დაცვა: ატარეთ შესაბამისი დამცავი სამოსი.

სუნთქვის დაცვა: არასაკმარისი ვენტილაციისას გამოიყენეთ შესაბამისი სასუნთქი აღჭურვილობა.

8.3. გარემო უსაფრთხოების განსაზღვრა და კონტროლი: მოერიდეთ ბუნებაში გამოყენებას.

9 თავი: სტაბილობა და რეაქცია

9.1. რეაქცია:

პროდუქტი გამოყენების, შენახვისა და მართვის ნორმალური პირობებისას რეაქტიული არ არის.

9.2. ქიმიური სტაბილობა:

სტაბილურია ნორმალურ პირობებში.

9.3. საშიში რეაქციების შესაძლებლობა:

ნორმალური გამოყენების პირობებში საშიში რეაქციები ცნობილი არ არის.

9.4. ასარიდებელი პირობები:

რეკომენდირებული შენახვისა და გამოყენების პირობებში ხელმისაწვდომი არ არის (იხ. 7 თავი).

9.5. შეუთავსებელი მასალები:

დამატებითი ინფორმაცია მოცემული არ არის.

10 თავი: ტოქსიკოლოგიური მონაცემები

10.1. მონაცემები ტოქსიკური ზემოქმედების შესახებ:

მწვავე ტოქსიურობა (პირი): არ არის კლასიფიცირებული;

მწვავე ტოქსიურობა (კანი): არ არის კლასიფიცირებული;

მწვავე ტოქსიურობა (ჩასუნთქვა): არ არის კლასიფიცირებული;

კანის გაღიზიანება/გაკაწვრა: გამოიწვევს კანის აცლას;

თვალის მწვავე გაღიზიანება/დაზიანება: იწვევს თვალის რთულ დაზიანებას;

სასუნთქი გზების ან კანის მგრძობელობა: არ არის კლასიფიცირებული;

ემბრიონალური უჯრედების მუტაგენობა: არ არის კლასიფიცირებული;

კანცეროგენულობა: არ არის კლასიფიცირებული;

ასპირაციული დაზიანება: არ არის კლასიფიცირებული.

11 თავი: ინფორმაცია ეკოლოგიურობის შესახებ

11.1. წყლის მწვავე ტოქსიკურობა: არ არის კლასიფიცირებული;

წყლის ქრონიკული ტოქსიურობა: არ არის კლასიფიცირებული.

11.2. პერსისტენტობა და დამუშავების შესაძლებლობა:

დამატებითი ინფორმაცია არ არის.

11.3. ბიოაკუმულაციური პოტენციალი:

დამატებითი ინფორმაცია არ არის.

11.4. სხვა სახის მავნე ზემოქმედება:

ოზონი: არ არის კლასიფიცირებული.

12 თავი: ინფორმაცია ნარჩენების გადაყრის შესახებ

ნარჩენების გადამუშავების მეთოდები: შესაბამისი დირექტივების გათვალისწინებით.

13 თავი: ტრანსპორტის შესახებ ინფორმაცია

ADR/RID/IMDG/IATA/ADN მითითებების შესაბამისად.

13.1. UN Nr. მითითებების შესაბამისად.

მოქმედი დებულებების თანახმად, პროდუქტი არ წარმოადგენს საშიშ პროდუქტს.

ADR	IMDG	IATA	ADN	RID
არ გამოიყენება	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	არ გამოიყენება

13.32. ტრანსპორტის საფრთხის კლასი

არ გამოიყენება	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	არ გამოიყენება
----------------	----------------	----------------	----------------	----------------

13.3. შეფუთვის ჯგუფი

არ გამოიყენება	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	არ გამოიყენება
----------------	----------------	----------------	----------------	----------------

13.4. გარემო საფრთხე

გარემოსათვის საშიში: არა	ზღვის დამაბინძურებელი ნივთიერება: არა
-----------------------------	---------------------------------------

13.5. სპეციალური უსაფრთხოების ღონისძიებები მომხმარებლისათვის:

საგზაო ტრანსპორტი: მონაცემები არ არის

საზღვაო ტრანსპორტი: მონაცემები არ არის

საჰაერო ტრანსპორტი: მონაცემები არ არის

სარკინიგზო ტრანსპორტი: მონაცემები არ არის

13.6. მასიური ტვირთის მოთხოვნა: MARPOL 73/78 დანართი II-ის და IBC-ის შესაბამისად არ გამოიყენება.

14 თავი: სამართლებრივი ინფორმაცია

14.1. დირექტივები უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის/სპეციფიური სამართლებრივი დირექტივების შესახებ ნივთიერებების ან ნარევისთვის.

14.2. რელევანტური დირექტივები, ნორმები და კანონები:

განკარგულება საშიში ნივთიერებებისაგან დაცვის შესახებ (საშიში ნივთიერებების შესახებ განკარგულება - Gef-StoffV);

შხამქიმიკატების აკრძალვის შესახებ დირექტივები (ChemVerbotsV);

ნარჩენების შესახებ ევროპული ნორმის შესახებ განკარგულება (Abfallverzeichnis-Verordnung-AVV);

ფედერალური კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ (BBodSchG);

ფედერალური კანონი ნიადაგის დაცვისა და ნარჩენების უზრუნველყოფის შესახებ (BBodSchV);

ტექნიკური ინსტრუქცია სუფთა ჰაერის შესახებ (TA Luft);

14.3. წყლის საფრთხის კლასი (WGK):

WGK 1 (ნაკლებ წყალსაშიში).

14.4. სხვა დირექტივები, შეზღუდვები და აკრძალვები:

გაითვალისწინეთ REACH- (EG) N 1907/2006, დანართი XVII, N 47 (ქრომის-VI კავშირი).

14.5. რელევანტური TRGS:

TRGS 200 (ნივთიერებების, ნაზავისა და ნაწარმის დეფინიცია და მარკირება);

TRGS 500 (დამცავი ღონისძიებები);

TRGS 559 (მინერალური მტვერი);

TRGS 519 (საშიში ნივთიერებების შენახვა ადგილობრივად მოძრავ ავზებში);

TRGS 900 (სამუშაო ადგილის ზღვრული მაჩვენებლები);

14.6. სამართლებრივი დაზღვევის (GUV) რელევანტური პროფესიული კავშირების წესები (BGR);

BGR/GUV R 190 (სუნთქვისაგან დამცავი ხელსაწყოთა გამოყენება);

BGR 192 (თვალისა და სახის დამცავის გამოყენება);

BGR 189 (დამცავი სამოსის გამოყენება);

BGR 195 (დამცავი ხელთათმანების გამოყენება);

14.7. VCI-შენახვის კლასი:

არა აალებადი მყარი ნივთიერებები, TRGS 510 მიხედვით.

შპს „ეკო ბოჰემია“

ტელ. ოფისი: +995 373 200 827

მობ: +995 599 77 45 45

WhatsApp: +995 599 77 45 45

ელ. ფოსტა: info@ecoboemia.ge

ვებ. გვერდი: www.termohub.com